

# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძანის არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა.“  
იოსებ ნონეშვილი

№ 6 (4510) • 8 აპრილი • 2015 წელი • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 80 თეთრი •

## გილტყავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში

### ქვემოქვედა უმაღლესი აღმოსავლური ფასეულობა



ნარკვევი წარმოგიდგინა.

\*\*\*  
„ჩვენ ვჩვენით ღიმილს“

ამა წლის 31 მარტს სამოქალაქო განათლების პროგრამით „მომავლის თაობა“ ფარგლებში 142-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს საკლასო პროექტი – „ჩვენ ვჩვენით ღიმილს“.

მოსწავლეების სურვილი იყო, დახმარებოდნენ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, რომელთა საჭიროებათა კვლევისას აღმოაჩინეს: ბენეფიციარებს ყველაზე მეტად სისხლი სჭირდებოდათ. მოსწავლეებმა დადგინეს სისხლის დაგროვების აქცია, უბანში გაავრცელეს საინფორმაციო ფლაერები, ხოლო ახლო მდებარე სკოლებში კი გააკრეს პლაკატები, რომლებიც მოსახლეობას სისხლის უანგარო დონაციისკენ მოუწოდებდა.

მარტის ბოლო დღეს 11-დან 15 საათამდე „სისხლის ბანკის“ დახმარებითა და 142-ე საჯარო სკოლის დირექციის ხელშეწყობით სკოლაში მოეწყო სისხლის აგროვების აქცია. 28 ადამიანმა ჩააბარა სისხლი.

აღსანიშნავია, რომ ერთი დონორის მიერ გაღებული სისხლი სამი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად საკმარისი.

142-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა ლეიკემიით დაავადებულ 84 ბავშვისთვის სამოქალაქო სისხლის აგროვება შეძლეს. პროექტი ხორციელდება USAID PH INTERNATIONAL-ის ეგიდით „მომავლის თაობა“.

**პროექტის პრეზენტაცია:**  
თბილისის 142-ე საჯარო სკოლის დირექტორი შორენა ცნობილაძე, X კლასის ხელმძღვანელი მაკა ფარეიშვილი და სამოქალაქო განათლების პედაგოგი მანანა დანელია ვმონაწილეობთ ამ პროექტში.

ახლა მოსწავლეებს მოუწოდებთ: „მე ვარ მარიამ პაპიაშვილი, ამ პროექტის ორგანიზატორი, ჩემს თანაკლასელებთან მაკა ელიაშვილსა და ვერიკო კობონიძესთან ერთად განვახორციელე ჩაფიქრებული იდეები.“

აღნიშნული პროექტი „ჩვენ ვჩვენით ღიმილს“ ითვალისწინებს იამვილის სახელობის კლინიკის ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთათვის სიცოცხლის გახანგრძლივებას, „სისხლის ბანკის“ დონორობის მეშვეობით.

თავიდანვე გადაწყვიტეთ სამოქალაქო სექტორის ჩართვა ამ პროექტში. კლასი დაეყავით ჯგუფებად:

I ჯგუფი – „საქართველოს საპატრიოტო“;  
II ჯგუფი – „სამშენებლო“;  
III ჯგუფი – „სამხარული“;  
IV ჯგუფი – „სამხარული“;  
V ჯგუფი – „სამხარული“;  
VI ჯგუფი – „სამხარული“;  
VII ჯგუფი – „სამხარული“;  
VIII ჯგუფი – „სამხარული“;  
IX ჯგუფი – „სამხარული“;  
X ჯგუფი – „სამხარული“;



არქი: მარიამ პაპიაშვილი, მაკა ელიაშვილი, ვერიკო კობონიძე და ირაკლი ციხისელი;

II ჯგუფი – სამშენებლო „დავითიანი“: მერაბ ჭაბუკაშვილი, მარიამ კობახიძე, ლამა მელიორაძე, ბექა ქართველიშვილი;

III ჯგუფი – „ახალი ნათება“: ნინო ცარიციძე, ეკა გაჩეჩილაძე, სანდრო ჩადუნელი, ბელა გოცაძე, მარიამ კუპატაძე;

IV ჯგუფი – „ბაკურ სულაკაურის“ გამომცემლობა: გურამ თაბორიძე, საბა კუპატაძე, კოტე ერციანი, დიმიტრი ზანგურაშვილი, ირაკლი ჩადუნელი.

ჩვენმა პირველმა დამრიგებელმა ლელა არჩვაძემ, მეორე პირველი კლასის ხელმძღვანელმა საკუთარ მოსწავლეებს დაანერჩინა ნამუშევრები თემაზე – „ჩვენ ვჩვენით ღიმილს“, რომლებიც გამოფენილია აქ – სკო-

ლაში. ნიშნავს, რომ 84 ადამიანისთვის სამოქალაქო სისხლის შეგროვება შეძლეს. ძალიან მიყვარს ახალი თაობა, ვამაყობ ჩვენი მოსწავლეებით. მადლობა 142-ე საჯარო სკოლის დირექციას, X კლასელებს, მათ დამრიგებელს მაკა ფარეიშვილს, სამოქალაქო განათლების პედაგოგს მანანა დანელიას და „სისხლის ბანკს“ აქციისთვის: „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე!“

\*\*\*

მადლობა გვიანდა გადაუხადოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სამოქალაქო განათლების პროგრამას „მომავლის თაობა“, კერძოდ, მის ხელმძღვანელს სოფო ბაჩილავას, აგრეთვე 142-ე საჯარო სკოლის დირექ-



ლაში.

მეორე ჭაბუკაშვილმა შექმნა ბლოგი, სადაც ატვირთულია აღნიშნული პროექტის მასალები, ფოტოები, ვიდეოები და პრეზენტაცია, ხოლო დავით დემეტრაშვილმა, დიანა მესტიევამ, ეკა გაჩეჩილაძემ, ნინო ცარიციძემ გააფორმეს კედლის გაზეთები.

ჩვენი თხოვნით სკოლას მარტის ბოლოს ეწვია „სისხლის ბანკი“. სისხლის გაღება შეეძლო ნებისმიერ ჯანმრთელ ადამიანს 20-დან 60 წლამდე.

ჩვენი მიზანმიმართულ სწორედ ეს არის, რომ მცირედით მაინც შევწინოთ ლეიკემიით დაავადებულთ.

ვინცებთ ქვემოქვედადებს!  
შემოგვიერთდით!

\*\*\*

სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ კოორდინატორის, სოფო ბაჩილავას წერილი ფეისბუქის გვერდიდან: „სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში დღეს თბილისის 142-ე საჯარო სკოლის X კლასმა განახორციელა საკლასო პროექტი „ჩვენ ვჩვენით ღიმილს“, რომლის დროსაც 28 ადამიანმა უანგაროდ ჩააბარა სისხლი. ეს

ტორს შორენა ცნობილაძეს, დირექტორის მოადგილეს: ბელა ჩიტისასა და დოდო გოგოლაძეს, ინფორმაციულ მენეჯერს ელისო ბერიკაციშვილს, X კლასის ხელმძღვანელს მაკა ფარეიშვილს, სამოქალაქო განათლების პედაგოგს მანანა დანელიას და მთელ პედაგოგიურ კოლექტივს. აგრეთვე თემქის მოსახლეობას მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

აი, როგორი ჰუმანურობისა და ქველმოქმედების სულისკვეთებით იზრდება 142-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობა.

მაკა ფარეიშვილი,  
X კლასის დამრიგებელი

მკითხველთა საყურადღებოდ!  
გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის განყოფილების სააგენტოებს: „საქპრესა“ – გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, „მაცნე“ – საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.



მასწავლებლებო, ითანამშრომლოთ ჩვენთან!

რუსთავი და რუსთაველები

„ყვილას მოვლევით“



**ახალი** საპროექტო სიახლეები რუსთავის 23-ე საჯარო სკოლაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. I კლასში განხორციელებულმა მორიგმა ნოვაციამ კი ყოველგვარ შემოქმედებით განზომილებას გადააჭარბა. გამოცდილება, სერთიფიცირებული და სიახლის მაძიებელმა ნათელა ჭინჭარაშვილმა 27 მარტის საგაკვეთილო პროცესი დაუფინანსარი შთაბეჭდილებების დღედ აქცია ღონისძიების ყველა მონაწილისათვის. და რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, პროექტის შემუშავებაში ღონისძიების თვით პირველკლასელებმა დაიწყეს.

ინიციატივა საბამ აიღო და მან პირველკლასელების კვალობაზე ისეთი სერიოზული სატელეფონო ინტერვიუ ჩამართვა მათემატიკის სახელმძღვანელოს ავტორს ბატონ ათანდილ საგინაშვილს, რომ ეს უკანასკნელი სიამოვნებით დათანხმდა ბავშვებს სკოლაში სტუმრობაზე.

მათემატიკური მეცნიერების თუნდაც ელემენტარული პროგრამისათვის.

გაკვეთილის ჩატარების შემდეგ სტუმარმა აღფრთოვანება ვერ დაფარა და პატარების მათემატიკური მომზადებით კმაყოფილმა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკუთარ მიგნებასაც, რომ მათემატიკის სახელმძღვანელოს შედგენისას იგი ნამდვილად სწორად გაითვალისწინებდა ასაკობრივ მონაცემებს და გონებრივ შესაძლებლობებს. პატარებსაც ამიტომ უყვართ ეს საგანი და წარმატებასაც აღწევენ.

მათემატიკური „რუბიკონი“ 27-ე ბაღელებმაც წარმატებით გადალახეს I კლასელებთან ერთად და გადამწყვეტილებად მიიღეს, რომ სწორედ ამ სკოლაში განაგრძობენ სწავლას მომავალი სასწავლო წლიდან.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ისიც უნდა ითქვას, რომ I კლასის 36-ე პირველკლასელმა გააოცა და ერთგვარად სასიამოვნოდ დააბნია კიდევ ბატონი ათანდილი უმასშტაბო ფანტაზიითა და ცნობისმოყვარეობით, რაც, უდააო, პედაგოგის საგაკვეთილო სასწავლო შემოქმედებითი საქმიანობის დამსახურებაა.

ღონისძიების მეორე ნაწილი პროექტს - „ყვილას მოვლევით“ პრაქტიკულ განხორციელებას მიეძღვნა. მიზანი მოსწავლეთა თვალსაზრისით გაფართოება და კლასგარეშე მასალისადმი ინტერესის გაღვივება, ესთეტიკური გემოვნების გამოუმუშავება იყო, შედეგი პედაგოგმა ნათელა ჭინჭარაშვილმა პროექტით ასე გათვალა: დაინტერესება ბიბლიოთეკით, პოეზიით, საბავშვო პოეზიის ზოგადი გაცნობით, პოეტ ლია ბეჟანიშვილის საყმაწვილო ლექსების დასწავლით.

ძირითად რესურსებად გამოყენებულ იქნა ლია ბეჟანიშვილის

ლექსების კრებული „ყვილას მოვლევით“, მუსიკალური ცენტრი სიმღერებით და მუსიკალური ჩანაწერებით, ციფრული ფოტოპარატი.

პროექტის მსვლელობაში იყო პუნქტები: პოეტთან შეხვედრა, ბიბლიოთეკის გამგესთან მადონა სტურუასთან გასაუბრება, მოსწავლეთა დაინტერესება, ლექსების დასწავლა და პროექტის სრული პრეზენტაცია.

ყველაფერი პუნქტუალურად შესრულდა. სკოლის ბიბლიოთეკას უამრავი სტუმარი ჰყავდა: მშობლები, მოწვეული სტუმრები, პედაგოგთა კოლექტივის წევრები. ამ საინტერესო ღონისძიებზე 23-ე საჯარო სკოლის დირექტორს, პროფესორ ლელა ახალაის გარკვეულწილად წვეულ პოეტთა გვერდით ყოფნა უხდებოდა, თავდაცვით როგორც ნიჭიერ პოეტს, როგორც შემდეგ აღნიშნა, ფრიად სასურველი და სასიამოვნო პოზიცია იყო მისთვის.

ლია ბეჟანიშვილი ქართველ საბავშვო პოეტთა შორის ერთ-ერთი ნიჭიერი პოეტია. მისი ლალი, ჭკუისასწავლებელი, ულამაზესი პატარა ლექსები რუსთაველი მხოლოდ პატარებმა კი არა, დიდებულმა ზეპირად იციან. ამ ქალბატონის ლექსებს სწორედ ბჭედავენ პერიოდული გამოცემები, ავტორს სწორედ უმართავენ შეხვედრებს არა მხოლოდ მის მშობლიურ ქალაქ რუსთავეში, არამედ - ყველგან, საქართველოში.

ლექსების კრებული „ყვილას მოვლევით“ - ათი წლის წინ



გამოცა და უცბად გაქრა მაღაზიის სანიგნე თაროებიდან. მას შემდეგ პოეტმა კიდევ ბევრი რამ დანერგა და სულ მალე განახლებულ კრებულსაც ვიხილავთ მისი ნიჭის თავგანისმცემელნი.

...ამჯერად პოეტის ნიჭის შემფასებლები პირველკლასელები იყვნენ. მათ ერთი საათის განმავლობაში უშეცდომოდ, ზეპირად, საოცარი სითბოთი და ინტონაციურობით უთხრეს პოეტს ლექსები, სანახაობა ლამის თეატრალიზებული იყო.

უამრავ შეხვედრაზე ვყოფილვარ, მაგრამ ასე ხალისიანი და ენერგიული ბავშვები არ მინახავს, მე თქვენი სიყვარული კიდევ ბევრ და ახალ ლექსს დამანერინებს, - აღნიშნა სტუმარმა და ისიც დასძინა, რომ 23-ე სკოლა მუდამ გამორჩეულია შემოქმედებითი პედაგოგებით, და რომ ასეთთა შორისაა ნათელა ჭინჭარაშვილი, პედაგოგი, რომელმაც განათლების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისთვის გასულ წელს იაკობ გოგებაშვილის მედალი მიიღო,

ლია ბეჟანიშვილთან ერთად ღონისძიებას ესწრებოდა პოეტი დარეჯან ალადაშვილი. მან გულწრფელი მადლობა გადაუხადა

სტუმრებს, მშობლებს ასეთ საინტერესო ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისთვის და კარგი შედეგების აღზრდისთვის.

ღონისძიება შეჯამდა პროექტი პრაქტიკულად წარმატებულად მიიჩნია დირექტორმა ლელა ახალაიამ.

ბავშვების თვლით დანახული სამყარო და პატარების სულში წვდომა ურთულესია და ამას პოეტი ლია ბეჟანიშვილი დიდი სიყვარულითა და გატაცებით აკეთებს.

მხოლოდ სიყვარული, ურთიერთის გვერდში დგომა და ურთიერთთან მადლიერება თუ გადაარჩენს ქვეყანას, ამ ცხოვრებისეულ მთავარ ფორმულას სწორედ ღონისძიებებით ასწავლის პედაგოგი ნათელა ჭინჭარაშვილი, ძალიან სწორად ღამეების თენებისა და საკუთარი ჯანმრთელობის ფასად, მაგრამ დაულალავად, უდიდესი შემართებით, - აღნიშნა ღონისძიების შეფასებისას მადონა სტურუა.

ასეთი იყო ღონისძიების სტუმართა აზრი და თვით პატარების შეფასებაც. მათ ნათელა მასწავლებელი არასოდეს დაავინყებდათ.

პროექტმა გაამართლა: კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნებთან, ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობები, მართლმეტყველების ნების დაცვა, შესაფერისი ინტონაციისა და ფსიქოლოგიის შერჩევა, ხმამაღალი კითხვის ტექნიკის დაუფლება, სიყვარული სწორი წარმოთქმა, წიგნთან მუშაობის ჩვევების გამოუმუშავება, დროის ღონისძიების დაცვა, აუდიტორიასთან წარდგომის ჩვევის გამოუმუშავება, სიმღერა, ცეკვა, თამაში, სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის მზაობა.

ახალი პროექტების განხორციელება 23-ე სკოლაში ჩვეულებრივ მოვლენაა.

ქალი პედაგოგი - ახალ აგლუაში

**ქალთა** რესპუბლიკური საბჭოს საქმიანობის გააქტიურება დღეს საქართველოს ისე სჭირდება, როგორც არასდროს. ბოლო ხანს მომრავლებულმა საქვეყნო პრობლემებმა აშკარად დაანახა საზოგადოებას, რომ ქალთა პოტენციური შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენა და გამოყენება მიზანშეწონილი კი არა, აშკარად აუცილებელია, რასაც არ უნდა ეხებოდეს საქმე და რა მნიშვნელოვანი ან ნაკლებადმნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს პრობლემა.

ქვეყნის პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურულ და სოციალურ ყოფაში ჩახედულს, ინიციატივა და შემართება არ აკლია, საზოგადოებრივი აქტიურობით კი ბევრ თავისნაირ ადამიანს იყენებს გვერდით სასიკეთო საქმეთა საკეთებლად.

ქალთა რეგიონულმა ასოციაციამ ბევრი კარგი ღონისძიება ჩაატარა უკვე, რაც ცალკე აღნიშვნის ღირსია.

ამჯერად თავად **ნარგიზ ტაბატაძის** შემოქმედებითი პროტრეტს გაგაცნობთ. მან სულ ცოტა ხნის წინათ თბილისში, სამხატვრო სახლ „ვაჩუში“ პერსონალური გამოფენა მოაწყო და თავმდაბლად უმასპინძლა ყველას, ვინც პატივს სცემს მხატვრობას, პოეზიას და მუსიკას.

გამოფენაზე წვეულმა სტუმრებმა, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს წევრებმა **ლიანა ლუდუშაურმა** და **ნანა ახვლედიანმა**

ხაზგასმით აღნიშნეს, რომ **ნარგიზ ტაბატაძის** ნახატები, საინტერესოდ გაფორმებული ყოფითი ნივთები, შუშაში შესრულებული ნამუშევრები პიროვნული ორიგინალური გემოვნების გამომხატველია და თავისი უპრეტენზიოობით ნამდვილად დიდ სიამოვნებას ანიჭებს მნახველს.

- ჩვენ **ნარგიზ ტაბატაძეს** კარგა ხანია ვიცნობთ, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით მას ამხელა ფანტაზია თუ ჰქონდა და ასე განაფული ხელი ულამაზესი ნივთების შესაქმნელად, - აღნიშნა გამოფენის დათვალიერების შემდეგ რუსთავის მერიის პრესამასახურის უფროსის მოადგილემ **ნინო ყარალაშვილმა**.

- მე მომწონს მისი ნამუშევრების მრავალფეროვნება, პირველყოფილი ფერები და გულწრფელობა. ყველა ნივთი, რომელიც გამოფენაზეა წარმოდგენილი, თითქოსდა შინაგანად სუნთქავს, აღნიშნა პო-

ეტმა **ლალი მჭედლიძემ**.

- ბევრი ჩვენი თანამემამულე ქალის მსგავსად ცხოვრებამ მეც ძალიან განაწვალა, მაგრამ არ დავბნეულვარ, ჩემში მინავლულ ნიჭს გზა მივუცი და მივალნიე კიდევ შედეგს, სულ მინდა რაღაც ვაკეთო, უბრალო საგნებით შემოიღია ახალი საინტერესო ნივთი შექმნა, ეს ჩემი სულიერებიდან მოდის. ყველა ქალში დევს ასეთი ნიჭი, თუკი ყურს დაუდგებს საკუთარი სულის ძახილს. და ასე ცხოვრება უფრო მარტივი და მიმზიდველი ხდება... **ნარგიზ ტაბატაძის** ყოველი ახალი დღე ახალი შემოქმედებითი ნოვაციებით იწყება.

საქართველოს ქალთა საბჭოს ქვემო ქართლის რეგიონული ასოციაციის თავმჯდომარე მუდმივად ახალი ღონისძიებების მოწყობის ცდაშია და თანამოზიარებელად ცდილობს ქალბატონები ჰყავს შემოკრებილი.

„ვაჩუში“ მორიგი გამოფენა მუსიკალურ და პოეტური ნაწარმოებების ფონზე დაათვალიერეს მნახველებმა.

- ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს ამ შემოქმედ ქალბა-

ტონს, რომ მან კიდევ უფრო დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს თავისი შემოქმედება, - აღნიშნეს რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით მალაქელიძემ** და მოადგილემ **ნინო ლომიძემ**.

გამოფენას დაესწრნენ **ნარგიზ ტაბატაძის** მშობლიური ქალაქის ხელმძღვანელი პირები, თბილისელი მეგობრები, ნათესავები, დამთვალიერებელთა შორის კი ყველაზე მეტად ახალგაზრდები იყვნენ, რუსთავის სკოლების მოზარდები, რომლებიც ქალთა საბჭოს ქვემო ქართლის ასოციაციის თავმჯდომარეს სხვადასხვა ღონისძიებებიდანაც იცნობენ.

„ვაჩუში“ გამართულ გამოფენაზე საკუთარი მძივური ნამუშევრები ჰქონდა წარმოდგენილი ქალთა რესპუბლიკური საბჭოს წევრს **ლიანა ლუდუშაურს**, რომელიც ამ საქმიანობის ნამდვილი სპეციალისტია და დიდი სურვილი აქვს. სპეციალური სკოლა გახსნას მოზარდებისთვის ისტორიული და ტრადიციული ხელოვნების, მძივური ნაქარგების შესასწავლად.

გვერდი მოამზადა **ლია მარტაშვილმა**

ნომრის სპეციალური თვიური 191-ე საჯარო სკოლა

# მაღალ შედეგზე არიან ორიენტირებული

**შარშან** პედაგოგებს ძალიან გაუხარდათ ახალი დირექტორის მოსვლა, რადგანაც იგი მათი კოლეგა გახლდათ. ჩვიდმეტი წელია ჩინებულად ასწავლის მათემატიკას, არის წარჩინებული მასწავლებელი, მეტად კოლეგიალური, მოსწავლეთა დიდი მეგობარი.

**თინათინ ბაქრაძე** თბილისის 69-ე საჯარო სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილია. მოკლე ხანში კარგად წარმოაჩინა ხელმძღვანელის ორგანიზატორული უნარი, უკვე დაეტყო სკოლას მისი კეთილი ხელწერა.

შეხვედრის სკოლაში და აკურატულაობით მოიხიბლებით. უცხო თვალი ადვილად შეამჩნევს: პედაგოგები ერთმანეთთან მეგობრობენ. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის სიყვარულის ატმოსფერო სუფევს. მოგვხიბლა ფოიეში გამოფენილმა მოსწავლეთა შემოქმედებამ. აი, სტენდების თემატიკა: „დავიცვათ ბუნება!“ **მილენა ეზუგბაიას** (VI კლასი) და ბიოლოგიის პედაგოგ **ცირა ნურნუმიას** ერთობლივი ნამუშევარი. „ლაგო-დების ნაკრძალი“ – **ანა კოვალიოვა** (VI<sup>ა</sup>), „გაფუფრთხილდეთ ბუნებას“ – **ლიზი შამოვეი** (VI<sup>ბ</sup>), დამრიგებელი **თამუნა ზედელაშვილი**, „ბუნება ქვეყნის მშენებელია“ – **გიო მალაქვილი** (VI<sup>ა</sup>), „გარემოს დაცვა“ – **ანა ზედელიძე**, **მარი ხარაილი**.

ახლა ნორჩი მხატვრების ნახელავი ვიხილეთ: **ნინო არაშვილი** (X) – „მკითხველი დათვი“, „მფრინავი სპილო“, **ლიზი თარაშვილი** (I) – „ყვავი“, „მოგზაური ზღარბი“, **ნინო ჩხაიძე** (III) – „ხილით სავსე კალაია“, „წრუნუნა“, „დათუნა“, **ნიკა გიუნაშვილი** (II) – „აქლემი“, „ბანტიანი ფისო“.

აი, ხელთნაკეთი ხელოვნება: **გულიკო ფატილაძე** (VII) – „თექის პანო“, **გვანცა გეგეჭკორი** (VII) – „კუ“, „თექის ჩანთა“, **ალეკო შვერდოვი** (VII) – დამრიგებელი **თ. ბაღდოშვილი** – „გედები“, **მარი ბარამიძე** (V) – „ეზო-კარი“, **თამარ ჩიკვაძე** (V) – „სახლ-კარი“, **ლამა კაციაშვილი** (VI) – „სასახლე“.

გეოგრაფიული სტენდი: **ანი მაჩიტაძე**, **მაია ტაბაძაძე** – „მოგზაურობის სურათები“, **თამარ ჩიკვაძის**, **მარი ბარამიძის**, **ნათია ოდიშვილის** პროექტი – „თურქეთი“, „თვალწარმტაცი საქართველო“, **ლია ბრეგვაძე** (V) პედაგოგი **მზია დულაძე** – „საფრანგეთი“, „პარიზი“, „ჩინეთი“. ჯილდოები: სიგელი, დიპლომი – ანსამბლ „ბარაკონს“ საპატრიარქოს უნივერსიტეტის დიპლომი – სკოლას, მათემატიკურ ოლიმპიადა „ვეერესტში“ წარმატებისთვის „მადლობის ფურცელი“ – სკოლას. შავი ზღვის უნივერსიტეტის დიპლომი – სკოლას.

აქედან ჩანს, რა აქტიურად

მუშაობენ პედაგოგები მოსწავლეებთან მათი შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებისათვის.

მასწავლებლები კი – მეტად ძლიერი კვალიფიციური კადრები მოღვაწეობენ აქ. დირექტორს აქტიურად უდგას მხარში და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს უნარბიანად უძღვება მოადგილე, გამოცდილი, გატაცებით მოღვაწე პედაგოგი **მარინე ირემაშვილი**.

ჩვენ გავიცანით გატაცებით მოღვაწე მასწავლებელი გეოგრაფიისა, სახელმძღვანელო ნიგნის ავტორი, პედსაბჭოს მდივანი **ლია გარსენიშვილი**. რახან პედაგოგიურ კადრებზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა ვთქვათ, სკოლაში სასწავლო ამინდს ქმნიან სერთიფიცირებული მასწავლებლები, **თინათინ ბაქრაძე**, **ლია გარსენიშვილი**, **ინგა ტაბაძაძე**, **თამარ გაბოშვილი**, **ნანა ბაგათელია**, **ინგა გუმბერიძე**, **დარეჯან ლაფაჩი**, **თამარ მაჭარაშვილი**, **ნონა გამხიტაშვილი**, **ეკა კობახიძე**, **ნინო თითირაშვილი**, **მაია ზაკალაშვილი**.

მაღალ შედეგებზე ორიენტირებულთა გამარჯვებას განაპირობებს საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობა. კათედრებს უძღვებიან გამოცდილი, ენერგიული ხელმძღვანელები: **მარინე სინაურიძე** (ქართული ენა-ლიტერატურა), **დარეჯან ლაფაჩი** (მათემატიკა), **ნინო ნიშნაიანი** (საზემციურებები), **ნინო ზაგათელია** (საბუნებისმეტყველო), **მაია ოლქიშვილი** (უცხო ენები), **ნონა გამხიტაშვილი** (დანყებითი განათლება), **მზია დულაძე** (ესთეტიკა-სპორტი).

სასკოლო ცხოვრებას უფრო ხალისიანს ხდის მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ნიჭიერი, ყოჩაღი XI კლასელი **ნინო ზანგური**.

„ხე ნაყოფითა სავსეა არს“, გვასწავლის ბიბლია. მასწავლებლის შრომა შედეგებით ფასდება და სკოლაში ძალიან ბევრი ჰყავთ სწავლაში წარჩინებული, ე. წ. „ათოსანი“ მოსწავლე. სწავლების ხარისხი რომ მაღალია, შემდეგიდანაც ნათლად ჩანს: სკოლა ხუთ მედალოსნობის კანდიდატს ითვლის: **მარი ლარიბაშვილი**, **ქეთი ლარიბაშვილი** და **ბესო სხირტლაძე** ოქროს უმინებენ, **სალომე ალაიძე** და **თინათინ ბერუაშვილი** კი – ვერცხლს.

გარდა ამისა, სასწავლო ოლიმპიადებსა და კონკურსებში გამარჯვებულნი იმდენია, თვლა არა აქვს. შევეცდებით, ყველაზე გამორჩეულნი მაინც შევაქოთ: სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში გამარჯვებული **ნინო ქაქუბაიძე** (X) და 300 ლარიანი ვაუჩერი მოიპოვა. საპატრიარქოს კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ რელიგიისა და კულ-

ტურის პედაგოგის **ნანა მგალობლიშვილის** აღსაზრდელები ფინალში გავიდნენ. **ზურაბ ფარჯანაძის** მოცეკვავეთა ანსამბლი „ბარაკონი“ მუდამ წარმატებულია მაღალი, საერთაშორისო რანგის ფესტივალებში. ასევე ასახელებენ სკოლას პერსპექტიული სპორტსმენები. სპორტის პედაგოგების: **შმაგი ხეცურიანისა** და **დემურ ზარდიაშვილის** აღსაზრდელები: **ლუკა იმნაძე**, **რეზო ყალიჩავა**, **მიშკო არქანია** (ფეხბურთი), **გიორგი ონოფრიშვილი**, **გიორგი ქავთარაძე**, **ლუკა ჩხლაძე**, **ლევან ხუროშვილი** (რაგბი), **გიორგი ტუხაშვილი** (ველოსპორტი) ბევრ შეჯიბრებაში გამარჯვებული სპორტსმენები არიან.

სკოლის სიამაყეა XII კლასელი **გვანცა ქობალია**, რომელიც ფორტეპიანოში მუსიკალური კონკურსების ლაურეატი გახდა.

სასკოლო ცხოვრების ფერხულში აქტიურად არიან ჩართული და მის წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ პასუხისმგებლობით, აკურატულად მოღვაწე მუშაკებს: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გამოცდილ კოორდინატორს **გოჩა თავართქილაძეს**, მენეჯერ **თამარ მაჭარაშვილს**, ბულალტერ **მარინე ჭრიკიშვილს**. საქმისმწარმოებელი **ლია ჭელიძე** ხომ მთელი სკოლის სული და გულია.

დისციპლინის განმტკიცებისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით პედაგოგებთან ერთად ბევრს ზრუნავენ გამოცდილი მანდატურები: **ლია ციმაია**, **მინდია გოგოჭური** და **თამარ ცხვედიანი**. დირექცია კმაყოფილია სპეცმასწავლებლის **შორენა კვინიკაძის** მოღვაწეობით, რომელიც ბევრს მუშაობს ინკლუზიური სწავლების სრულყოფისათვის.

მონონებთან და ქებას იმსახურებს სასკოლო ბიბლიოთეკის გამგის **მზია ფუნთუშაშვილის** საინტერესო, შემოქმედებითი მუშაობა ამ კრიტიკულ ფაზს, როცა კომპიუტერმა ლამის ნიგნი ხელიდან გააგდებინოს მოსწავლეებს და წერა-კითხვას გადააჩივოს.

ამასწავლებელთა სკოლაში სამწესობარო ამბავი მოხდა, გარდაიცვალა ლვანდოსილი მასწავლებელი ქართულისა **იზოლდა ბუაძე-მინაძე**. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქცია უსამძიმრებს პედაგოგტიკის ამის გამო. ღმერთმა ზეციურ ნათელში ამყოფოს სული ლვანდოსილი მასწავლებლისა!

სხვა მხრივ 191-ე სკოლაში საინტერესო, მჩქეფარე ცხოვრება გრძელდება. ვინც ეძებს, ის იპოვნის.

მაღალ შედეგებზე ორიენტირებული უთუოდ გაიმარჯვებენ.

ბორის ხარეზავა

უწყინარი წიპურტები

## „ქუჩნალისცის ზნეობანი“

**არჩილ მუჟაჟი** დაგვინერა „საქართველოს ზნეობანი“, მე კი „ჟურნალისტის ზნეობანი“ უნდა წარმოვადგინო, – ამას ვაცხადებ მოსე მწერალი. ჟურნალისტის მორალური კოდექსი რა ხანია დანერვილიაო, – წამომისტა ინტრიგანი. – დასახვეწია, ჩემო მავანო, დღევანდელმაზე მოსარგებია.

ერთი ძველი ამბავი მასხენდება:

სახელოვან 77-ე (გრიგოლ კობახიძის) საკოლაში იოსებ ნონეშვილი მოსწავლეებთან შეხვედრაზე მთელი გატაცებით ენამზებოდა: „მაგრამ კარგო, იცი რა? გულმა ვერ მოიცალა ნატვრა შენთან ყოფნისა“. გვერდით ფოტოკორესპონდენტი გენადი სანაია აეტყუხა: „ბატონო იოსებ, ცოტა აქეთ მობრუნდით, აი, ასე დადექით! „ჰა!“ – დაიბნა პოეტი, რალაც ძაფი გაუწყდაო, საკუთარი ლექსი დააწყნადა.

ახლა ამასწინათ ნანახზე მოგიტობთ. ტელეგადაცემა „იმედის კვირაში“. ოთხი-ხუთი ჟურნალისტი ერთდროულად შეება პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე მანანა კობახიძეს. ინგა გრიგოლია გამომძიებლის ჩაძიებით ეკითხება რალაცას. მანანა ცდილობს აზრის დალაგებას. ვინ აცალა წინადადების დასრულება. მე-13 გოჭივით წამოხტა შალვა რამიშვილი, ირბინა იქით-აქეთ და კონივით დააყარა კითხვები. შალვას დუტა ჩაერია. დუტამ წამოხტომა არ იცის, სავარძელში ირწევა რუზველტივით

და ისე ასწავლის ჭკუას რესპოდენტს, მაგალითად, ხუბუტას. დუტა ხოფერიამ შეცვალა. ხოფერიას თეორიამინი ჟურნალისტი შეეცვლია. გაოგებული მანანა ყველას ემუდარებოდა: „ნუ მანყვეტინებთ!“ „წინადადება დამასრულებინებთ!“ მაგრამ ვინ გისმენს? ასე შეინორა შეკითხვებმა ინგას „ქრონომეტრაჟით“ რესპოდენტისთვის საპასუხოდ განკუთვნილი წუთები.

ამ დროს კი ოპონენტები: გიგა ბოკერია იყო, თუ გივი თარგამაძე, არხიანად „მსჯელობდნენ“, ინგას „ქრონომეტრაჟსაც“ გადაუარეს, თავიანთი არგუმენტებითაც გული იჯერეს, მაგრამ მათ პირში არავინ შეჩრაა, არავის გაუწყვეტინებია მათთვის სიტყვა.

„ოპონენტ“ რესპოდენტებთან „პაექრობის“ ეს მეთოდიკა-ტექნოლოგია (მოსაუბრის დაბნევა, შეჩერება, ცინიზმი, შეკამათება) თითქმის ყველა ტელენამყვანს ოსტატურად აქვს ათვისებული.

მხოლოდ სამი ჟურნალისტი: დათო აქუბარდია, თეა სიჭინავა და ეკა მიშველაძე, რომლებიც ახერხებენ რესპოდენტ-ოპონენტებთან კულტურულ ფორმებში საუბარს ყოველგვარი დამაბულბისა და ისტერიკების გარეშე.

ტელემყურებელო, რას იტყვი? როგორ ფიქრობ, საჭიროა, თუ არა, დაიხვეწოს არსებული „ჟურნალისტის ზნეობანი“, ან თუნდაც რალაც ცვლილებებზე შევიდეს? ბრძენის შეგონება კი ასეთია: „იყავ თამამი, იყავ თამამი, ნუ იქნები თავხედი!“

## გამჭვირვალობა

**ზინც** ბევრს ყბედობს გამჭვირვალობაზე, სწორედ ის არის ყველაზე გაუმჭვირვალე. იგი წარამარა გაიძახის: გამჭვირვალობა დემოკრატიის მონაპოვარიაო. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ, მავანო, ისე გიცხონდა ცხვირი, შენ რომ ამას გულწრფელად ამბობდე. ეს დემოგოგისთვის გჭირდება, თორემ შენ ხომ ის ხელმძღვანელი მუშაკი არა ხარ, რომელიც ყველაფერს უკუღმა აკეთებ? ვერ მომატყუებ. მე ოცდამეერთე საუკუნის მოსე მწერალი ვარ. **შენ ვერც მეცხრამეტე საუკუნის მოსე მწერალს მოატყუებ. შენ გაკვეთილებზე პედაგოგის სათვალთვალოდ საკლასო ოთახის კარებში მინები რომ ჩასვი, ამას გამჭვირვალობას ეძახი?**

მიგმართოთ ფაქტებს: „ავად-სახსენებელი“ კომუნისტების დროს განათლების მინისტრად (სხვა სფეროებს არ ვეხებით) ცეკას მდივანი **გურამ ენუქიძე** გადმოიყვანეს. თათბირზე ჟურნალისტები დაგვიბარა. შუა საუბარში რომ ვიყავით, თანაშემწე შემოვიდა: სვანეთიდან პედაგოგები არიან ჩამოსულიო.

ბატონმა გურამმა ბოდიში მოგვიხადა: პედაგოგების მიღება ხუთი საათიდან გვაქვს. იმ სიმორიდან, იქნებ რამე საჩქარო საქმეზე არიან ჩამოსული, ან დღევანდელი აპირებენ დაბრუნებას. ვეღარ ვალოდინებო.

მინისტრის კაბინეტი დეტოვით.

დღეს? დღეს სკოლის დირექტორს, თუ მისი მობილურის ნომერი არ იცი, სასაუბროდ ვერ

მოიხელტებ. შეხვედრასა და მიღებას ვინ ჩივის?

აი, შამკინის მიერ დამკვიდრებული მეთოდიკა: დარეკავ სკოლაში, მოხვდები კანცელარიაში. თითქმის არ არსებობს შანსი, პირდაპირ დირექტორთან გახვიდე. კანცელარიის მოხელე ე. ი. საქმეთამმართველი გამომძიებელივით დაადგენს შენს ვინაობას. დირექტორს, თუნდაც იქვე იჯდეს, გუნებაში თუ არ მოუხვდები, თანაშემწეს ათქმევინებს: წასულია სამინისტროში, რესურსცენტრში, ან სადმე შეხვედრაზეა. მობილურის ნომერს თხოვ? ვინ მოგცემს: აკრძალული გვაქვსო. ვინ აკრძალა? იმ ხელმძღვანელმა პირმა, რომელიც ყველაზე ბევრს ლაყბობს გამჭვირვალობაზე.

დირექტორის გაუფრთხილებლად მიხვედი სკოლაში? იგივე პროცედურები უნდა გაიარო, ორი ბარიერის დამატებით: პირველი გამომძიებელი შესასვლელის დარაჯია, მეორე – მანდატური. დავეშვათ, ვერცერთმა შეგამჩნია, ისე გაძვერი კანცელარიაში, იქაც გეტყვიან, დირექტორი არ არისო. კიდევ დავეშვათ და... დირექტორი „გამოიჭირე“. თვალში თუ არ მოუხვდები, დიდ ღონისძიებაზე გავრბივარო., – გეტყვის და უყარე კაკალი. ასეთ მოჯადოებულ წრეში ტრიალებს ჩვენი „გამჭვირვალობა“.

ბოლოს და ბოლოს, სკოლის დირექტორი რა იმხელა უშველებელ-უზარმაზარი პიროვნებაა, რომ მასთან დაკავშირება არ შეიძლებოდა?

მოსე მენარალი

# „იზარდე, მწვანე ჯიჯილო,

# აქ მეღამ მზე და გაზაფხულია

ღეგობა დაგლომით, 41-ე ბაგა-ბაღეღეღო!



**41-ე ბაგა-ბაღი**, რომელიც გამოირჩევა თავისი აქტიური ცხოვრებით, პატარებისადმი დიდი ზრუნვა-სიყვარულით, მონეს-რიგებული ტექნიკური ბაზით და, რაც მთავარია, საქმისადმი უზომოდ შეყვარებული აღმზრდელთა კოლექტივით.

ბაგა-ბაღის დირექტორი გახლავთ ყველაასათვის ცნობილი, სახელგანთქმული პედაგოგი **მაყვალა ჩუბინიძე**. იგი 15 წელია ამ საბავშვო ბაღს ელოლიავენა, დედასავით ზრუნავს პატარებზე და დღე-ღამეს ასწორებს. ცდილობს გააკეთოს მაქსიმუმი იმისათვის, რომ პატარებს ჰქონდეთ ბედნიერი ცხოვრება ამ სასაამოვნო გარემოში.

ქალბატონი **მაყვალა ჩუბინიძე** დაიბადა ლაგოდეხის რაიონის, სოფელ ლელიანში. დაამთავრა ლაგოდეხის საშუალო სკოლა. შემდეგ მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობდა

ლაგოდეხის რაიონის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად, შემდეგ გაემგზავრა გერმანიაში მეუღლე-სათან ერთად და იქ დაიწყო მოღვაწეობა გერმანულ ბაგა-ბაღში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ 35 წელი ემსახურებოდა 83-ე ბაგა-ბაღის ცეროდენებს გამგის თანამდებობაზე. დღესაც ახალგაზრდული შემართებით ზრდის საქართველოს მომავალს.

ჰყავს ორი შვილი **თინათინი** და **მანანა ჩუბინიძეები**. თინათინი გახლავთ ენდოკრინოლოგი, რომელიც თავის საქმეს, წარმატებით უძღვება გორის ჰოსპიტალში. მანანამ კი დედის გზა აირჩია და გადამწყვიტა ფილოლოგობა, რათა თავისი ცხოვრება და ენერჯია უძღვნას პატარა ქართველების ქართული სულით აღზრდას. ქალბატონი მაყვალა ჰყავს 3 შვილიშვილი **ბიძინა** და **ანა ჯავახიშვილები**, **თინათინ მიქაშვილი**. ბიძინამ და თინათინმა გადამწყვიტეს გამზადარიყენენ დიპლომატები. ბიძინა მუშაობს ბრიუსელის საელჩოში,

ელჩის მრჩეველია, თინათინი კი ამერიკის საელჩოშია. ანამ მათგან განსხვავებული გადამწყვეტილება მიიღო და გახდა წარმატებული მსახიობი. იგი დღეს მოღვაწეობს დრამისა და მუსიკომედიის თეატრში. ქალბატონი მაყვალა ხარობს თავისი ორი პატარა შვილთაშვილითაც.

დირექტორის მოადგილე ქალბატონი **მარიკა ლუკავა** აგრეთვე აქტიურადაა ჩართული ბაღის ცხოვრებაში, წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. სწორედ შეხმატკბილებული შრომის და მუშაობის შედეგია მონესრიგებული გარემო, ლამაზად გაფორმებული სასწავლო კაბინეტები და დერეფნები. არ შეიძლება არ აღინიშნოს შრომა და თავდადება ქალბატონი **ლიანა ბარაშენიძისა**, რომელიც ამ ბაღში წლებია მუშაობს საქმის მწარმოებლად, მინდა აღვნიშნო, რომ იგი თავისი საქმის სრული პროფესიონალია.

წარმატებით უძღვებიან თავის საქმეს ქალბატონი **დალი მეღაძე**, რომელიც გახლავთ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი. ქებას იმსახურებს სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი ქალბატონი **ნუნუ ბუჭუჩი**.

ცეროდენების აღზრდისთვის თავდადებით იღვნიან აღმზრდელები და მათი თანამშენებელი: **იზაბელა ნადირაძე**, **ელისო იაკობაშვილი**, **ელენა ბრეგაძე**, **ლელა გურაბანიძე**, **ნატალია გახარია**, **ანგელინა გაბრიჩიძე**, **მედეა ღვინიაშვილი**, **თამარ ზაკალაშვილი**, **თინათინ შეყილაძე**, **ვენერა გიგაშვილი**, **ნატო ბისიეშვილი**, **დიანა სიდიანი**, **შორენა სურმანიძე**, **ირმარუხაძე**, **თამარ ლაფერაშვილი**, **მარინე კვეტენაძე**, **დალი ბარვენაშვილი**, **ნონა უზარაშვილი**, **ხათუნა კინმარიშვილი**, **მზია კალანდაძე**, **მაია ლაბაძე**, **ნანა ჩხაიძე**, **დიანა მაისურაძე**, **მარინე ლოლაძე**. ბავშვების მეტყველების გაუმჯობესებაზე ბევრს ზრუნავს ლოგოპედი **ირმა რუხაძე**.

თითოეულ ბავშვს ბაღში სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა და სწორედ ამ მიდგომის ხერხებს და მეთოდებს ეფექტიანად იყენებს გამოცდილი ფსიქოლოგი **თინათინ გელაშვილი**.

სწორედ ამ პედაგოგების დამსახურებაა ის სიგელები და დიპლომები, რომელიც ბაღს მიუღია, მის სტენდებს ამშვენებს.

ბაღში ხშირად ტარდება ღია აქტივობები სასწავლო-აღმზრდელი თემებზე, საშემოდგომო, სარვაშარტო, გამოსაშვები ღონისძიებები.

ბაღში ბევრია აღსაზრდელი, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ხელოვნების ნიჭით. სიმღერაში გამოირჩევიან: **ელენე ზაკალაშვილი**, **ნინო ჩაჩიძე**, **ნუცა მანჯავიძე**, **ლიზა აბაშიძე**, **ანა კანაშვილი**, **მარიამ მახაური**, **მარიამ აღნიაშვილი**, **ნია მალაზონია**, **ნინო სოსაძე**, **ზურაბ ქარდავა**.

ამ ყველაფერში დიდი წვლილი მიუძღვის მუსიკის პედაგოგს **ეთერ შამანაურს**. ცეკვაში გამოირჩევიან: **დემეტრე ბერიძე**, **ლაზარე ჩაჩუა**, **უტა ჯანაშია**. ხატვაში – **ბექა ჯანგულაშვილი**, **პეტრე იაკობაშვილი**, **გიორგი ამირანაშვილი**. მხატვრულ კითხვაში გამოირჩევიან: **ლიზი კუპრავა** და **დაჩი აგლაძე**.

არ იშურებენ თავისი საქმის კეთილსინდისიერად შესრულებითვის: **ვახტანგ ქირია**, **ირინე სიხარულიძე**, **ხათუნა ლომთათიძე**, **თეა ნადირაძე**, **ვენერა ტაბატაძე**, **ნონა მეტრეველი**, **გოგუცა კაბონიძე** და **ანალი ბურჯანაძე** მეტად შრომისმოყვარენი არიან.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის დიდი ყურადღება, პატივისცემა, სითბო და სიყვარული რომელსაც ქალბატონი მაყვალა იჩენს ბაღის თანამშრომლებისადმი. მათ მადლობას უხდის იმ დიდი თავდადებისთვის, შრომისთვის და ღვაწლისთვის, რომელსაც თითოეული მათგანი დებს პატარების აღზრდის სათუთ საქმეში.

თბილისის 41-ე ბაგა-ბაღი თავისი წარმატებებით გამორჩეულია. რაც მთელი პედაგოგიური კოლექტივის გატაცებული შრომის შედეგია. ისინი მადლობას იმსახურებენ არამარტო აღსაზრდელების მშობლებისგან, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისგან, რადგანაც სწორედ ისინი განაპირობებენ ქართული სულის ჩამოყალიბებას, მამულის სიყვარულით აღზრდას ჩვენი მომავალი თაობისა. წარმატებებს ვუსურვებთ ბაღის პედაგოგიურ კოლექტივს თავიანთ საქმიანობაში, პატარებს კი – მშვიდობიან ზეცას და ბედნიერ მომავალს.

გაზაფხულის დადგომას გილოცავთ, ხალისიან, სასიხარულო, იმედიან განწყობილებას გისურვებთ, 41-ე ბაგა-ბაღეღეღო.



ნანა ზიფია

**გიორგი ლეონიძე**  
**„დიდა ნა“**  
 წიგნი ჩვენი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ვაზდნაბაში ფურცელი, ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეთრე, სიყვარული პირველი, ჩვენს აკვანს შემომგზდარი მგალთბელი ფრინველი.

ოაგნანის ნიაგში ჩვენს ყრმობან რომ ვაისმა, ყრმობა რომ გვისუნელა, რთფტრც ბაღი მათსმა.

ტკბილად რომ გგვესაზრა ჩვენ ბავშვობა ბეჩავი – შავი კაბით ვაზრდილებს, ვაზუნებულ ლეჩაქით.

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, თქმისხმთან სიმებად გულში ამთხლართული.

**14 აპრილი დედა ენის დღეა!**

**ლადო ასათიანი - ქართული ნა**

საქართველოს მთებში ვაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელთს ენაქ! მთიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა შლეგი ჩანჩქელების ნაპრალებზე ხლტობა, მყინვარების დგთიურ ბწყინვალებით დნობა, ვაგნაბრებში ირმის ჯოფის ნავარდობა, ვაფანტული ფაბის მთაზე დაჯანღება და ქართული ფაბის ფაბზე დაჯანღება!

უძველესმა ტომმა დღემდის მთიმღერა, მწიფე პურის ყანა ქანში რთფთრ ღელაგს, საზკინეთში გრდემლზე რთფთრ სუქემენ ურთს და ვარსკვლავი ზღვეებზე რთფთრ მთგაურთობს, ან მთვარისან ღამით ცხენ-კთმუკის ჩრდილში რა ტკბილია ფაბრულ სიყვარულის შიში, რთცა ღამისმთეველებს ღნინი გაუმარტავთ და სიზმრები რთცა, თვლემენ სასთუმალთან... საქართველოს მთებში ვაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენაქ!

# დაკურდი, გახდი ყანაო!

## ბელს გაგვიხარებს ეს გამაფხული

როგორ ხსოვრით, 170-ე ბაგა-ბაღაულო?



**მეტად** საინტერესო ისტორია აქვს ამ ბაგა-ბაღს. ქველმოქმედების მისაბაძი მაგალითია გასულ საუკუნეში საქართველოს მეთაურის **ვასილ მყავანაძის** მიერ თავისი საცხოვრებელი სახლ-კარის 170-ე ბაგა-ბაღისთვის ჩუქება. კეთილ საქმეს არ ივინყებენ და ცეროდენების ამ ზღაპრულ სამყაროს დღესაც „მყავანაძის ბაღად“ მოიხსენიებენ.

დღევანდლობაზე გადავიდეთ. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგანყენო, მხოლოდ ერთს ვიტყვი: ცეროდენების ამ სამყაროს მხილველი უნებურად აკაკის სიტყვებს წამოიძახებს: „ეს

ლია ამ ბაგა-ბაღის დირექტორია და ძალიან დაატყო ყველა სფეროს თავისი ხელწერა, წინამორბედთა მონიწივე ტრადიციები უფრო სასახელოდ გააგრძელა.

დირექციის თხოვნით მეგობრობას მიწევს სკოლამდელთა აღზრდის დიდოსტატი, პედაგოგი-ლევინა, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ამ დარგში ეპოქის შემქმნელი **ნელი კეპულაძე**. მის გვერდით მუშაობა ყველასთვის სასამაყო და დიდი სკოლაა. შარშან 80 წლის იუბილე მიულოცეს. ახლაც შესაფერი გატაცებით მუშაობს და თავის მონიწივე მეთოდურ გამოცდილებას უშურველად გადასცემს კოლეგებს. წარწერით მაჩუქა ას-ალგამოცემული წიგნი ძალიან მიგნებული, კობტა სათაურით „ჩვენ და „რატომღები“, რომელიც ამ დარგის სპეციალისტებისთვის სახელმძღვანელო ნაშრომია. ადრეც გამოსცა ქალბატონმა ნელიმ მეტად საჭირო, სამაგიდო წიგნი „ბაღი – ჩემი ცხოვრება“. ბევრმა არ იცის, **ნელი კეპულაძის** დამსახურებაა, ბაღის გამაგებებს ბოლო წლებში დირექტორებს რომ ეძახიან.

ბაგა-ბაღში ყველა რგოლი მონესრიგებულად, სანიმუშოდ მუშაობს. ყველგან სისუფთავე და

**ევლინა სალუქვაძეს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორები: **ნათელა მონავარდისაშვილი** და **ლილი ძიცივაძე** ბევრს ზრუნავენ ბაღის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის.

მტკიცედ დგანან პაწიების ჯანმრთელობის სადარაჯოზე პროფესიონალი ექთნები: **ნელი რაზმაძე** და **მზინა ესართია**. მათი შიშით ვერცერთი ინფექცია (ვერც ღორის გრიპი) ბაგა-ბაღის სიახლოვეს ვერ გაიჭაჩანებს.

აღმზრდელ-პედაგოგთა კორპუსი მეტად ძლიერია. დაგელოცოთ მარჯვენა, რადგანაც თქვენი დაუღალავი შრომის შედეგია ამდენი ნიჭიერი ცუგრუმელა რომ



**ვილს, ანა ცარიელაშვილს, დარეჯან სისხარულიძეს, ლანა ლაფერიშვილს, ნინო აბრამიშვილს, ციცილო ნიკლაურს, იამზე ნულაიას, ნონა**

**იშვილისა და დალი დარბაიძის** ეფექტიანი მუშაობა.

– კმაყოფილი ხართ ბავშვთა კვებით? – ვკითხვით ერთ-ერთ მშობელს. იგი პოეტი აღმოჩნდა: კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო, – გამიღიქვსა. მართლაც, ცუგრუმელებს კი არა დიდებსაც გვრის ნერწყვს მზარეულების: **ნატალია ბერუაშვილის, თამარ როსტომაშვილის**, მათი დამხმარეების: **ლელა ნიკლაურის** და **ლამარა ქა-მუშაძის** მიერ დამზადებული ყუათიანი, არომატული კერძები.

უნდა დავლოცო მებაღის მარჯვენა. მწვანე სამოსი მოვლილია. შვილივით ნაზარდი ვაზი ისე კობტად გაუსხლავს მებაღე **ჯონი გეგერიძეს**, კახელ მევენახესაც კი შეშურდება.

შრომისმოყვარე დამლაგებლების: **ცისანა სამონაძის, რუსუდან ჩილინდრიშვილის, ნანული ლომიძის, მარიამ ნეფარიძის, ია გიორგაძის** ხელში ჯამ-ჭურჭელს და ყველაფერს სულ კრიალ-კრიალი გაუდის.

ბაგა-ბაღის სიმშვიდეს და უსაფრთხოებას გულდაგულ იცავენ ერთგული მცველები: **გია კას-**



გვეზრდება. ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის დირექცია მადლობას უცხადებს, როგორც დამსახურებულ, ისე უფრო ახალგაზრდა, საქმის სიყვარულით მკეთებელ აღმზრდელებს და მათ თანაშემწეებს: **მაყვალა შერაზადიშვილს, მაყვალა შიოშვილს, ანტონინა თუმანიშვილს, ეკა ნანეიშვილს, ნანა ნოზაძეს, მანანა გლოველს, დარიკო მოდებაძეს, მედეა ბიბილ-ეიშვილს, მზეთვალა ჯაფარიძეს, ნანი გულიაშვილს, სოფიო ქოიავას, სოფიო თევზაძეს, თინა ლლონტს, სილვა რაზმაძეს, ეკა აბურჯანიას, დარეჯან ბერაძეს, თამარ ყიფშიძეს, თამარ ლომიძეს, ნანა ბუკიას, თონა გაგოშვილს, თამარ ლაფერიშვილს, თამილა გოჩიტაშვილს, ლილი ბალაშვილს, ნუნუ ჭუმბაძეს, ელენე ბენაშვილს, ეკა არსენიშვილს, დონარი ხელაშვილს, ნანა გელაშვილს, დარეჯან ბოკერიას, ქეთევან პაპულიშვილს, ნანა ბერიაშვილს, ნონა ქუთათელაძეს, ინგა კუპრაძეს (აღმზრდელები), ვერა აბრამიძეს, ნინო შიოშვილს, ეთერ კურტანიძეს, ლალი გეგეშიძეს, ციალა და თამარ ფალავანიშვილებს, ფატი მოდებაძეს, თამარ შეყლაშვილს, მანანა ბურდულს, ხათუნა ჩხაიძეს, თამარ ზარიაშვილს, გოგუცა ვარდოსანიძეს, დალი ხელაშვილს, ლალი ბუხრაშ-**

**გოგოლაძეს, ლილა გოცირიძეს** (თანაშემწეები).

ცეროდენების სულის გაფაქიზების, მათში ხელოვნების სიყვარულის აღზრდის მიზნით ოსტატობას და ძალისხმევას არ იშურებენ მუსიკის მასწავლებლები: **მარიამ გუგუშვილი, ნანა გაგუა, ლია ჩაჩავა, ცეკვის პედაგოგები: თამარ ნახუცრიშვილი და მზია კანდელაკი.** მთელი ბაგა-ბაღის სული და გული



არიან საქმის მწარმოებლები: **მაყვალა ირემიძე და დიანა კაკულია.** მეტად ნაყოფიერია სპეცპედაგოგების: **მაია აფხაზიშვილის, ნანი გაბისიანის, ფსიქოლოგების: კლარა სულაბერიძის, გიორგი კახიძის და ლოგოპედების ლია დვალ-**

**აბური, ნიკო ლომიძე, თენგიზ ჯახველაძე.**

ბედნიერია ამ ბაგა-ბაღში ცეროდენების ცხოვრება. კმაყოფილი და გახარებული არიან მშობლები, რადგანაც მათი პირმშობების აღზრდის საქმე მშობლიურ გარემოში დედასავით მზრუნველ პედაგოგებს აბარიათ.

მუხრან მაჭავარიანის სტრიქონებით მოგმართავთ: „კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო, კიდევ ერთი რუსთაველი, კიდევ ერთხელ აამღერო, გვეალება ჩვენო ბაღო, გაგიმარჯოს საქართველო!“

მშვიდობიანი, თვალნარმტაცი, ხალისიანი გაზაფხულის დადგომას გილოცავთ, 170-ე ბაგა-ბაღელებო!



თვალები რას ნახავენ სხვა უკეთეს სანახავსა!“

პატარების ბედნიერი ცხოვრების, მათი ხალისიანი ყრიაშულის მონმე თავის ბავშვობას ინატრებს: „ში, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი!“

გულთბილად მიმილო ამ დიდი ოჯახის კეთილმა დიასახლისმა, ცეროდენებზე დედასავით მზრუნველმა, გამოცდილმა და შემოქმედმა პედაგოგმა **ქეთევან დვალ-იშვილმა.**

აკურატულობა სუფევს. ყველგან თოჯინები იცინიან. აქ საქართველოს მომავალი ფრთიანდება და ამ საიმედო მომავლის გამოჭედვაში აღმზრდელ-პედაგოგებთან ერთად ლომის წილი მიუძღვით ადმინისტრაციისა და ტექნიკური მომსახურების პერსონალს.

ბაგა-ბაღის წინსვლა-კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილე **მარინე მაჭარაშვილს**, გამოცდილ, შრომისმოყვარე მეთოდისტ



# ნარმატების ფორმულა



**ჩვენი** მკითხველისათვის და განსაკუთრებით პედაგოგიური საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ თბილისში ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალაქის მერიის, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, საქართველოს საპატრიარქოს ქვემდებარე სასწავლო და აღმზრდელობითი დაწესებულებანი.

ამასწინათ გადავწყვიტე სტუმრად ვწვეოდი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატს.

აპარატის მუშაკებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ სტრუქტურაში დასაქმებული მუშაკები მინისტრის – გამორჩეული პიროვნების, ხელოვნებისა და განათლების სფეროებში აღიარებული ჭეშმარიტი მამულიშვილის **დიმიტრი ჯაიანის**, მისი მოადგილეების **მანანა ქვაჩიას**, **ბესიკ ოდიშარია**სა და **როლანდ ნიჟარაძის**, მინისტრის მთავარი მრჩეველის **ზაზა მიქავას**, განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის (ასევე რესურსცენტრის) უფროსის **ნინო ლობჯინიძის**, მისი მოადგილის **მედეა კვარაცხელიას**, აპარატის უფროსის **ნონა ქარაიას**, მთავარი სპეციალისტების **ნარგიზა ფაცაცია**ს, **ხათუნა შონისა**, **ირმა გოგოლაძის**, **ლანა ხიჯაკაძის**, **ანა ხელაიას**, **სოფო ჯგუბურიას**, **სალომე თორდიას** შემადგენლობით, ძალისხმევას არ იშურებენ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე და მათ აღზრდაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმატებისათვის.

მათთან საუბრისას ასევე გამოიკვეთა რომ თბილისში ფუნქციონირებდა აფხაზეთის სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს შორის გამოირჩევა ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი-2“. შევხვდი მის დირექტორს ახალგაზრდა ქალბატონ **ლელა უბილაფას**. გადავწყვიტე მკითხველისთვის მომეთხოვო ამ სკოლის წარმატებული საქმიანობის შესახებ.

1998 წლიდან სკოლა ფუნქციონირებს ქ. თბილისში, გლდანის I მ/რ-ში (ყოფილი „სანატო-

რიუმი სიხარულის“ შენობა) 17 კორპუსში.

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები: საფორტეპიანო, სიმებიანი (ვიოლინო, გიტარა), კლასიკური ვოკალი, საესტრადო ვოკალი, ხალხური საკრავები, ხატვა, მეტყველების კულტურა, ვაჟთა ფოლკლორული გუნდი, გოგონათა კლასიკური გუნდი.

სკოლის გამორჩეულ მოსწავლეთა შორის შეიძლება დავასახელოთ **ანა პაპავა**, **გიგა პაპავა**, **ავთანდილ გამცემლიძე**, **ლიზი ზარანდია**, **ელენე კოკაია**, **ელენე შონია**, **მარიამ გერგედავა**.

ასევე გამორჩეულ სკოლადავითარებულთა შორის არიან **ანა შარია**, **ქეთევან გუგულაშვილი**. დღეისათვის წარმატებით ასრულებენ თავის მოვალეობას სკოლადავითარებულები **თეონა ჯგერენაია**, რომელიც ამჟამად



საესტრადო განყოფილებას ხელმძღვანელობს და სკოლის თეორეტიკოსი **მარიამ არქანია**.

სკოლა ყოველწლიურად წარმატებით ასრულებს წლის დასაწყისში დასახულ გეგმას. მონაწილეობას ღებულობს შიდა თუ საქალაქო ღონისძიებებში, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფესტივალ-კონკურსში, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ფესტივალ-კონკურსებში. სკოლას მოპოვებული აქვს არაერთი დიპლომი თუ სიგელი, ასევე ჩვენი წარმატებული მოსწავლეები არიან არაერთი კონკურსის ლაურეატები. სკოლა ხშირად ღებულობს მონაწილეობას საქველმოქმედო კონცერტებშიც.

სკოლის მისია, მისი მთავარი ამოცანაა, თავისებური წარმატების ფორმულა, რომ მოსწავლეებმა მიიღონ მაღალი კულტურული განათლება. ხელი შევეწყობთ მოსწავლის სოციალურ და პიროვნულ ზრდას. შევუქმნათ გარემო, სადაც მოზარდი შეძლებს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პოტენციალი და განავითაროს ის. მოსწავლეების ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნებად აღზრდა, მათში პატრიოტული სულისკვეთებისა და საქართველოს კულტურული

ისტორიის მიმართ პატივისცემის გაღვივება. ხელოვნება ავითარებს წარმოსახვით უნარს, შემოქმედებით მიდგომასა და კრიტიკულ აზროვნებას. სკოლის მიზანია მოსწავლეებმა შეიძინონ ჩვევები, რომლებიც მათი საზრიანობის და კრეატიულობის განვითარებას დაეხმარება. მოსწავლეებს მივცით შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი ცოდნა და გრძნობები ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, როგორცაა: მუსიკა, ხატვა, მეტყველება, სიმღერა და სხვ.

აფხაზეთის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უსაფრთხო და ნამახალისებელ გარემოს, კულტურული განათლების სრულ მისაწვდომობას და ერთნაირ შედეგს ყველა მოსწავლისათვის. განვრჩევლად სექსისა, ეროვნებისა, რასისა, კანის ფერისა, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებისა და სხვ.

სკოლის ამოცანაა დაამკვიდროს მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლება და ხელი შეუწყოს მათ ნათელ მომავალს. სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიზნებია: ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა; შემოქმედებითი ღონისძიებებისა და მიზნობრივი ექსკურსიების რაოდენობის ზრდა; სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინოებების რაოდენობის ზრდა; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნახალისება; სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ მისი მოსწავლეები იყვნენ ერთ-ერთი საუკეთესონი ხელოვნების სფეროში. მათი თავდაუზოგავი შრომა გავლენას ახდენს სკოლის სახელზე. სწორედ ამის საფუძველზე არის ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი-2“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული თავის სფეროში. სკოლაში მოღვაწეობენ გამოცდილი მასწავლებლები: **ჯულიეტა არქანია**, **მარინა გერგედავა**, **მანანა ჯორჯიკია**, **მერი ბერაძე**, **ნანული კვეკვესქირი**, **მაია ცაავა**, **მანანა პაპიაშვილი**, **დოდო**

ინტელექტუალურ გადაცემა „ეტალონი“. რომელიც მონაწილეობას ღებულობდნენ აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ მყოფი საჯარო სკოლები. სკოლის ვაჟთა საესტრადო ანსამბლი წარსდგა მაცურებლის წინაშე. „კომპოზიტორთა შემოქმედთა კავშირის“ სკოლის საესტრადო განყოფილებამ, პედაგოგ **თეონა ჯგერენაიას** კლასმა ჩაატარა კომპოზიტორ **გიორგი (გოგი) ცაბაძისადმი** მიძღვნილი საღამო. სკოლის ხალხურ საკრავთა განყოფილებამ აქტიური მონა-

## სახალხო განათლებას - ფართო გზა!



**ხეჩია**, **მარიამ არქანია**, **თეონა ჯგერენაია**, **ქეთევან გოგბერიძე**, **ალღონა კალანდია**, **სოფია ქირია**, **სოსო კიკვაძე**, **ანა ქერაშვილი**, **ია კოტომაშვილი**, **ეკა კვენიაშვილი**, **თეა ნადირაძე**, **ცისკარა ჯანჯღავა**. შრომისმოყვარე და წარმატებულ კოლექტივს სათავეში უდგას ახალგაზრდა, ენერგიული, კომუნიკაბელური, კრეატიული დირექტორი **ლელა უბილაფა**.

სკოლამ 2015 წელს მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ რიყეზე გამართულ სამობაო კონცერტში. სკოლა მაცურებლის წინაშე წარსდგა ვაჟთა ანსამბლით; გოგონათა ანსამბლით, საესტრადო კლასიდან სოლო ნომრებით.

ასევე სკოლამ მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში გამართულ ღონისძიებაში. რომელიც ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ (ასიპ) „მრავალეროვანი საქართველო“ დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის, აქ წარმატებულად წარმოჩინდა სკოლის საფორტეპიანო და საესტრადო განყოფილება.



გაიმართა „დედის დღისადმი“ მიძღვნილი კონცერტი. სკოლამ მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში „ქალები მშვიდობის ელჩები“. რომელიც ჩატარდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით. ჩატარდა დახურული კონცერტი ყველა განყოფილებისათვის, სადაც შეფასდა მასწავლებელთა ნამუშევარი.

ინტელექტუალურ გადაცემა „ეტალონი“. რომელიც მონაწილეობას ღებულობდნენ აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ მყოფი საჯარო სკოლები. სკოლის ვაჟთა საესტრადო ანსამბლი წარსდგა მაცურებლის წინაშე.

„კომპოზიტორთა შემოქმედთა კავშირის“ სკოლის საესტრადო განყოფილებამ, პედაგოგ **თეონა ჯგერენაიას** კლასმა ჩაატარა კომპოზიტორ **გიორგი (გოგი) ცაბაძისადმი** მიძღვნილი საღამო.

სკოლის ხალხურ საკრავთა განყოფილებამ აქტიური მონა-

წილეობა მიიღო „ფოლკლორის რესპუბლიკურ ფესტივალზე“ და გადავიდა მეორე ტურში.

სკოლის მეტყველების კულტურის განყოფილების პედაგოგმა **თეა ნადირაძემ** მოსწავლეები წაიყვანა „ფოლკლორის ეროვნულ მუზეუმში“.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ არის ალტერნატიული საუკეთესო ინვესტირება და საჭირო პირობებით, ის იძლევა ხარისხიან განათლებას ხელოვნების სფეროში. იგი მაქსიმალურად ყურადღებიან, თბილ, მაღალპროფესიულ გარემოს სთავაზობს აღსაზრდელებს, რითაც უზრუნველყოფთ მათ მომავალს კულტურულ სფეროში. სკოლის გარემო ხელს უწყობს მოსწავლეების თავისუფალ ინტეგრირებას სოციალურ გარემოში.

იმისათვის, რომ „აფხაზეთი-2 სკოლას“, მის მოსწავლეებს მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი გარემო შეექმნათ გადაწყვიტეს ურთიერთობა დაამყარონ დონორ ორგანიზაციებთან. ფიქრობენ ჩატარდეს მასტერკლასები პროფილების მიხედვით.

ასევე განზრახული აქვთ დაკავ-

შირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (გაერო), მატერიალური თანადგომის მიზნით.

ამასთან ერთად სკოლის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მისი დაფუძნების დღიდან იგი ფუნქციონირებს დაქირავებულ შენობაში, საკუთარი სახსრებით თვეში იხდის 320 ლარს.

სკოლის ხელმძღვანელობის თხოვნა თბილისის მერიისადმი დამოუკიდებელი ფართის გამოძების შესახებ სადმე მიმდებარე ტერიტორიაზე, დღემდე უწყურადღებოდ რჩება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს კიდევ უფრო წარმატებული ფორმულით საქმიანობის წარმართვას მომავალი თაობის ცოდნით შეიარაღებული მამულიშვილების სწავლა-აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში.

**რომან მოსაჰვილი**



# დირექტორის კეთილშობილი ჟესტი თუ მორიბი აფიორა?

...არაფერი არს დაფარულ...  
წერია სახარებაში.

ჩვენს დროში? თვით ფიქრი, აზრი და მოსაზრებაც კი. ისიც, სად? სკოლაში, სადაც ყველამ ყველასი ყველაფერი იცის, სადაც თითისხელა მოზარდსაც კი ვერაფერს გამოაპარებ. და საერთოდ, რაზეა ლაპარაკი, მსოფლიოს ცნობილ ექსპერტთა და ფსიქოლოგთა მონაცემებით, დასტურდება, რომ თურმე ყველა ადამიანი კოდირებული ნათელი ხილვის ანუ ცხადი მიგნების გენეტიკური ნიშნები, რითაც სრულიად ადვილი შესაძლებელია სხვისი ჩვეულებრივი, კეთილშობილი მოსაზრებების კი არა, ვირემპაკული ჩანაფიქრების ნაკითხვა და გაშიფრა...

...მას, ვისაც ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი სტატიის „ლოტოტრონიში გამარჯვებული დირექტორის იონები“-ს შინაარსი ახსოვს, დირექტორის ბელა მარტიასვილის სახელ-გვარიც დაამახსოვრდებოდა. მან, არ ვიცით, ჩვენი კრიტიკის გაზიარებისა თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოსალოდნელი არცთუ სასიამოვნო რეაქციის გამო, ამ ცოტა

ხნის წინ პედაგოგ ნონა ლაზარაშვილს მათემატიკის წართმეული საათები დაუბრუნა და შემცველი მასწავლებელი უცერემონიოდ გაიყვანა კლასიდან.

ამ ფაქტმა მშობლებიც გაახარა და მოსწავლეებიც, ერთდროულად, პატარები დირექტორის შეცდომის უშუალო მონაწილეები გახდა, მშობლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ამბობენ, ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, ბრყვები კი – საკუთარზეც ვერაო და, ბელა მარტიასვილმაც კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა. შეცდომა ჩვენი აზრით, თორემ მან თავისი მორიგი ნაბიჯი ისეთი კეთილშობილი ფესტითა და წრფელი მიზნით შეფუთა, რომ ეჭვიც კი არავის დაუტოვა მორიგი აფიორული ჩანაფიქრის ბოლომდე გასაშიფრად.

არადა, დღეს ვის რას გამოაპარებ. მოკლედ, ნონა მასწავლებელს მათემატიკის წართმეული საათები სახელმძღვანელო კლასში კი დაუბრუნა, მაგრამ სამაგიეროდ, ბუნების საგნის სამი საათი ორი მოტივაციით წაართვა: ერთი იმიტომ, რომ

ნონა მასწავლებელს ამ სამი საათით 19 საათი გაუხდებოდა კვირეული დატვირთვა, რაც მანამდე მის 17 საათს აჭარბებდა და მეორე: ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ მე-3 კლასელების მშობლებისგან განაწყენებულს, ამ კონტინგენტთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონოდა მათს ჭკუაზე მოსაყვანად. კლასის დამრიგებელი შეცბა, მაგრამ არაფერი უთქვამს და რა გამოვიდა? ნონა ლაზარაშვილს პედაგოგიურ განაკვეთზე ერთი საათი დააკლდა, დარჩა 17 საათი, სამაგიეროდ, 3 საათი დაიმატა დირექტორმა, ვითომ, მშობლებთან მუდმივი კონტაქტის მიზეზით...

ისმის კითხვა: ნონა ლაზარაშვილისათვის ბიოლოგიის სამი საათის არ წართმევით, მშობლებთან კონტაქტის დამყარება გაუჭირდებოდა? ასეთი მიდგომით თუ ვიხელმძღვანელებთ, ბელა მარტიასვილი სკოლის ყველა მშობელთან ახლოს რომ იყოს, ყველა კლასში უნდა ატარებდეს გაკვეთილებს (ნეტავ რომელ საგანში, რამდენადაც ვიცი, იგი შრომის მასწავლებელია) და მეორე, რა-

ტომ მაინცდამაინც ამ კლასის მშობლებთან სურს ასე დაახლოება? ამგვარი ქმედებით ნონა ლაზარაშვილს კიდევ ერთხელ რომ მიაყენა მორალური და სახელფასო ზარალი, ნუთუ წინასწარ არ გაითვალა?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მესამე კლასელებს უჩნდებათ კითხვა, რა ხდება? რატომ იცვლებიან საგნის მასწავლებლები ასე ხშირად მათ კლასში? რატომ არის გაუთავებელი დაპირისპირება დირექტორსა და ნონა მასწავლებელს შორის? მათ ხომ მთელი სასწავლო წელი განცდებსა და ნერვიულობაში გაატარეს დირექტორის მიერ ჩადენილი შეცდომების გამო. იქნებ დადგა დრო, განათლების საქალაქო რესურსცენტრმა, კერძოდ, მისმა ხელმძღვანელმა თამარ ხეჩიკაშვილმა ბელა მარტიასვილს შეცდომებზე მიუთითოს, თუკი მას თვითონ საამისო ცოდნა, გამოცდილება და ზნეობრიობა ეყოფა. ბოლოსდაბოლოს ბელა მარტიასვილის აფიორა როდემდე უნდა გაგრძელდეს...

ეს ობიექტი კერძო სკოლა ხომ არ არის, სადაც როგორც

მოესურვება დირექტორს, ისე გადაადგილოს საათები და მასწავლებლები, ისიც სასწავლო წლის განმავლობაში, მესამე კლასელთა ასაკობრივი ფსიქიკური მონაცემების გათვალისწინება, ვის, ვის და, ყველაზე მეტად დირექტორს ან ამ სკოლაში მოქმედ ფსიქოლოგს უნდა ხელეწიფებოდეს.

ახლა რა იქნება, წინასწარ განსჯა შეუძლებელია. დაამყარებს სასურველ ურთიერთობას დირექტორი მესამე კლასელების მშობლებთან თუ ვერა, ვფიქრობთ, რომ ვერა, რადგან მან კიდევ ერთი შეცდომა ჩაიდინა მშობლებთან, მოსწავლეებთან და ნონა მასწავლებელთან, ყველასთან, ვინც იცის, რომ კეთილშობილესა და აფიორას შორის ისევე დიდი უფსკრულია, როგორც სიმართლესა და სიბრყველს შორის. ჭკვიანი დირექტორები კი დღეს სიმართლესა და კეთილშობილებს ირჩევენ საკუთარი რეპუტაციის გადასარჩენად.

...არაფერი არს დაფარულ...  
წერია სახარებაში.

ლია მარტიასვილი

## აკოლოგიური მშვიდობისათვის

# ბუნების მოვლასიყვარულს ასწავლის

სახალხო 149-ე საჯარო სკოლის ღვანლმოსილ დირექტორს ნანა ჯულელს ვთხოვეთ ჩვენთვის აქტიური გატაცებით მომუშავე პედაგოგი გაეცნო.

საუკეთესოების მეტი ვინ მყავსო, – მიპასუხა და ცოტა ფიქრის შემდეგ გეოგრაფია-ეკოლოგიის ახალგაზრდა მასწავლებელი შემირჩია.

ოლა ბანცური დუშეთის მე-2 საჯარო სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილია. თბილისის 149-ე საჯარო სკოლაში საკმაოდ გამოცდილებით მოვიდა. ორი წელია დიდი წარმატებით ასწავლის თავის საყვარელ საგანს და უკვე საუკეთესო პედაგოგის სახელი მოიხვეჭა. მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ გაზეთისთვის სტატიის დანერგა ვთხოვეთ მონიწივე პედაგოგს და აი, ისიც.

\*\*\*

წარმოშობით ვაჟა-ფშაველას მშობლიური კუთხიდან ვარ. არაბუნებრივი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის თვალწარმტაცი ბუნება არ მყვარებოდა. მინდა ჩემს მოსწავლეებს ღრმად შევასწავლო და შევყვარო ჩვენი ტურფა საქართველოს გეოგრაფია, ფლორა და ფაუნა. დღეს კაცობრიობა ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას. მოსწავლე ახალგაზრდობაც მინდა ამ მიმართულებით გავაცნობიერო, მათ ბუნების მოვლა-პატრონობისთვის მზადყოფნა ჩავუნერგოთ. ამ მიზნით ჩატარებულ მუშაობაზე რამოდენიმე ჩამონათვალის სახით მოკლედ მოგიხსნებო.

მოსწავლეებს აქტიური მო-

წავლილება მივალბინე ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაში, რომელიც გაიმართა „თბილისი პალასში“. ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო კამპანიის მეორე დღეს ჩატარდა კონფერენცია 51-ე საჯარო სკოლაში, სადაც ჩვენი სკოლის 10 მოსწავლე მონაწილეობდა. ისინი შეუერთდნენ აქციას „დაასუფთავე საქართველო“. დასუფთავდა სკოლის ეზო და მიმდებარე ტერიტორია.

მოსწავლეები შორენა ჯანჯღავა და გია ლოლაძე მონაწილეობდნენ გადაცემაში „ეკოვიზა“.

„მე ვიცავ ოზონს“ აქციის ფარგლებში, თბილისში, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა სასკოლო შემეცნებით-გასართობი ღონისძიება. აღნიშნული კამპანია ხორციელდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გარემოს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, არასამთავრობო ორგანიზაციის „კავშირი მდგრადი განვითარებისათვის“ ეკოვიზის (Ecovision) პარტნიორობით. ღონისძიებას თბილისის 10 საჯარო სკოლის „SPARE“ ეკოკლუბის წევრი მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მონაწილეებს კიდევ ერთხელ მიენოდა ინფორმაცია ოზონის შრის დაცვის მნიშვნელობისა და ოზონის შრისთვის სამიში მაცივარაგენტების შესახებ. ასევე იმ საყოფაცხოვრებო ტექნიკის (მაცივარკონდიციონერი) შესახებ, რომელიც არ იყენებს ოზონ-

დამშლელ ნივთიერებებს.

აქციის ფარგლებში მოეწყო მოსწავლეების ნახატების და სლოგანების გამოფენა-კონკურსი „ოზონის შრის დაცვის შესახებ“. გამოვლინდა სამი გამარჯვებულის სლოგანი, ლუკა მელაძეს და ლაშა გოგილაშვილს გადაეცათ ნიგნები.

ღონისძიებაზე ასევე გაიმართა ვიქტორინა, გამარჯვებულებს გადაეცათ საჩუქრები.

პროექტის „SPARE“ ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის და თბილისის სამ საჯარო სკოლას შორის (149-ე, 51-ე, პირველი კლასიკური გიმნაზია) გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

მოვანყვეთ ლაშქრობა არმაზის ხეობაში, რომელიც ენერგოდაზოგის საერთაშორისო დღისადმი იყო მიძღვნილი.

ვიდეოგზავნილების კონკურსის 10 საუკეთესო ვიდეოს ავტორმა წარმატებას მიაღწია. 30-მდე მოსწავლედან 149-ე საჯარო სკოლა მოხვდა ათეულში. აქედან ოთხი მოსწავლე იყო წასული ეკობანაკში. სკოლას კი გადასცეს სერთიფიკატი. თსუ-მ ჩაატარა სასკოლო კონკურსი „შექმენი სახალწლო ნაძვის ხე“. მონაწილეობა მიიღეს ლუკა მელაძემ და სანდრა ყიასაშვილმა (VII კლასის დამრიგებელი ეკოტულში), მოსწავლეები გადავიდნენ ნახევარფინალში, სკოლას გადაეცა სერთიფიკატი. შემდეგ



მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს მიერ ორგანიზებულ ვიქტორინაში. მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატი.

შარშან სკოლას ეწვია ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია ევროკავშირის შესახებ. სტუმრად იყვნენ: ე. გოცაძე, თ. მედულაშვილი, გ. მამულაშვილი, რომლებმაც სკოლას გადასცეს სერთიფიკატი.

ჩვენი სკოლის ეკოკლუბმა საერთაშორისო პროექტის „SPARE“ ფარგლებში გარემოსდაცვითი კონფერენცია გამართა. მოსწავლეებმა გააკეთეს პრეზენტაციები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, მოსწავლეებს და სკოლას გადაეცათ სერთიფიკატი.

მეტად საინტერესო იყო სასკოლო კონკურსი „ფოტოსინთეზი“, რომელსაც ესწრებოდნენ: განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, გარემო-ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი


ელგუჯა ხოკრიშვილი, კავკასის გარემოსდაცვის დირექტორი ნანა ჯანაშია. ნახევარფინალში გავიდნენ: ქეთი თანდაშვილი, თინა ნატროშვილი, თათია გორგოძე, თათია ფინალში გავიდა და იქაც გაიმარჯვა. თათია გორგოძე (კლასის ხელმძღვანელი ასმათ ბრეგვაძე) განათლების მინისტრმა ფოტოსინთეზის სამინისტროში მიიწვია.

ვთანამშრომლობთ გარემოს დაცვის სამინისტროსთან. ვაგროვებთ მაკულატურას. აქტიურად ვმონაწილეობთ „მწვანე აქციასში“. სკოლის ეზოში ბევრი ნერგი გავსარებთ. ვამაყობ, რომ საერთაშორისო სასკოლო პროექტში აქტიური მონაწილეობისთვის ნორვეგიის გარემოს დაცვის საზოგადოებამ გადმომცა სერთიფიკატი: „სკოლის საუკეთესო მასწავლებელი“.

ოლა ბანცური,  
გეოგრაფია-ეკოლოგიის  
მასწავლებელი

გონა გურგენიძე – 75

# სახელმწიფო ცხოვრების ბოლო გზაზე



ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს გონა გურგენიძეს დაბადების 75 და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

გმირული ბიოგრაფია ამშვენებს მისი ცხოვრების გზას. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში აქტიურად იყო ჩართული. მისი საფიციური მუდამ მამული და მომავალი თაობა იყო და არის. პედაგოგის ოჯახში გაზრდილს სხვანაირად ცხოვრება არ შეეძლო. მუდამ სიკეთისთვის, სამართლიანობისთვის ბრძოლა მისი მიზანი.

გონა გურგენიძის ცხოვრებაზე წიგნის დაწერა საჭიროა. ჩვენ კი ობიექტური მიზეზების გამო, მის შესახებ მხოლოდ რამოდენიმე შტრიხითა და ეპიზოდით შემოვიფარგლებით.

ბატონი გონა დიდი პედაგოგის იჩიტი გურგენიძის პირდაპირი შთამომავალია და ტაო-კლარჯეთის პირველი ფეოდალური გვარის ღირსეული გამგრძელებელი.

ახალგაზრდობიდანვე ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შუაგულში გადაეშვა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული მეზობელი გახდა და ქვეყნის დამოუკიდებლობაში თავისი წვლილი შეიტანა.

ბატონი გონას ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ წარმატებულად შეიძლება შეუთავსო ერთმანეთს პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იმ საშინელ ჟამს შექმნა მან პედაგოგთა მოხალისე რაზმი და გმირულად იბრძოდა აფხაზეთის დასაცავად.

პედაგოგიურ ასპარეზზე მისი 50 წლიანი მოღვაწეობა გმირობის ტოლფასია. დღესაც ჭაბუკური შემართებით ასწავლის ისტორიას თბილისის 154-ე საჯარო სკოლაში. ხელმძღვანელ თანამდებობაზეც ბევრჯერ გამოიჩინა თავი. დიდი ხნის მანძილზე იყო ცნობილი პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, თბილისის 154-ე საჯარო სკოლის დირექტორი და სხვა.

თავისი ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ორი სქელტანიანი წიგნი აქვს მომზადებული. ერთი ძველი ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიას ეხება, მეორე – სახელწოდებით „ვინ ვინ არის?“ თავად გონას სიტყვებით, დღის სინათლეს ავტორის გარდაცვალების მერე იხილავს. რატომ ბატონო გონა? ვერ დავეთანხმებით. სულხან-საბას ნათქვამს შეგახსენებთ: „ყოველი კეთილი სჯობს სიცოცხლეში იქნას, თორემ სიკვდილის შემდეგ უკან მიდევნებული ლამპარი იქნებაო“.

გონა გურგენიძეს ეამაყება, რომ შრომობდა და იბრძოდა ისეთი დიდი პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების

მხარდამხარ, როგორც იყვნენ და არიან: ლევან ჩიქვანაია, ალექო კაპანაძე, ოთარ თეთვაძე, რობერტ გურგენიძე, ვანო გიორგაძე, გრიგოლ კობახიძე, დემურ კალანდაძე, რომან ცინცაძე, ლონდა მებურიშვილი, ლამარა ურიდია, ეთერ ყარმაზანაშვილი, ჰამლეტ თუთბერიძე, ურუნალისტები: ნიკო შველიძე, აკაკი ჯიქია და სხვები.

მეგობრობდა მწერლებთან, დიდ პიროვნებებთან: სიკო დოლიძესთან, ვიქტორ კუპრადესთან, იოსებ ნონეშვილთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან, მორის ფოცხიშვილთან, გრიგოლ აბაშიძესთან, ლევან სანიკიძესთან, რეზო მიშველაძესთან, გურამ შარაძესთან, ოთარ ქიქელიძესთან, ელიზბარ ჯაველიძესთან და მრავალ სხვასთან.

1994 წელს გონა გურგენიძემ შალვა ამონაშვილთან, ლევან ჩიქვანაიასთან, მამია დარჩიასთან და კობა სუჯაშვილთან ერთად დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლება 21-ე“, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა განათლების სისტემის სრულყოფაში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში დაარსდა ერთადერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია: „საქართველოს პედაგოგთა უფლებების დაცვის კავშირი“, რომლის უცვლელი პრეზიდენტი დღესაც გონა გურგენიძე გახლავთ.

ორ ათეულ წელზე მეტია, ეს ორგანიზაცია ნაყოფიერად მოღვაწეობს: შეურიგებლად ებრძვის სისტემაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს, ემსახურება სამართლიანობის აღდგენა-დამკვიდრებას, თავდადებით იცავს პედაგოგთა უფლებებს, მატერიალურად და მორალურად ეხმარება სოციალურად შეჭირვებულ მასწავლებლებს, დევნილ პედაგოგებს. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლის საშუალება ამჯერად ჩვენ არა გვაქვს. ერთი სიტყვით, ეს ორგანიზაცია თავდადებით იბრძვის განათლების სისტემის არსებული მდგომარეობიდან, ე.წ. „ჭაობიდან“ ამოსაყვანად. კიდევ ბევრი სამაღლობელი სიტყვის თქმა შეიძლება ჩვენი იუბილარის მისამართით.

როგორც ზემოთ ვთქვით, გონა გურგენიძის პედაგოგიურ-საზოგადოებრივ საქმიანობაზე მონოგრაფია უნდა გამოიცეს, მისი ღვაწლი ღირსეულად უნდა დაფასდეს.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ იუბილარს საამაყო იუბილეს.

ბორის მიშველაძე

P.S. გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად გამოჩენილ პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს გონა გურგენიძეს ულოცავს დაბადების დღეს, უსურვებს ბედნიერებას, მრავალ წლის სიცოცხლეს.

ეს წიგნი პედაგოგმა დაწერა

# ნელი კეშელაძე და „რაჭოქაქაძე“

მან ეპოქა შექმნა სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. მის სახელმძღვანელოებზე თაობები ფრთიანდებიან, ოსტატდებიან, კვალი-ფიკაციას იმალდებენ, თავიანთ მუშაობაში ნერგავენ ამ მონივრულ გამოცდილებას. ნახევარი საუკუნეა ასე გრძელდება. მეოთხედი საუკუნე თბილისის სახელმწიფო პირველი ბაგა-ბაღის დირექტორი იყო. შარშან 80 წელი შეუსრულდა და დღესაც შემოქმედებითი გატაცებით მოღვაწეობს დედაქალაქის 170-ე ბაგა-ბაღში. არც თვალისჩინი დაკლება (უსათვალოდ კითხულობს ნაწარებს) და არც – ყურთასმენა.

რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ცეროდენების მეგობარი და მესაიდუმლე ნელი კეშელაძე დღესაც გახლავთ: „იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე თავის მინისა“.



საკუთარი მონივრული გამოცდილება ბაგა-ბაღებში მუშაობისა მან თავის კოლევებს ათიოდე წლის წინათ გაუზიარა მშვენიერი წიგნით „ბალი – ჩემი ცხოვრება“.

ახლახან კი თავის სახელოვან იუბილეს საჩუქარი თავად მოუმზადა: დაგვიწერა

გ ა ტ ა ც ე ბ უ ლ ი მოღვაწეობის ამ-სახველი, შემე-ჯ ა მ ე ბ ე ლ ი , ს კ ო ლ ა მ დ ე ლ ი აღზრდის მუშაკებისთვის სახელმძღვანელო – სამაგიდო წიგნი „ჩვენ და „რაჭოქაქაძე““.



წიგნის სახელწოდებას დაუკვირდით, მკითხველო? ასეთი კობტა და მოხდენილი სათაური დიდი ხანია არ შემხვედრია. ცნობისმოყვარე ცურუმელა დასკუშებულა სკამზე და წარამარა გვეკითხება: „რაჭოქაქაძე?“ სწორედ ამიტომ ეძახიან მას რაჭომელას. და ყველა მასავით ცნობისმოყვარე ცეროდენები რაჭომელები არიან.

ამ მშვენიერ ნაღვანში ასეთ რაჭომელებთან პედაგოგიური ურთიერთობის მეთოდოკა არის გადმოცემული. წიგნი მკითხველმა უნდა წაიკითხოს. ამიტომ მის შინაარსს პატარა რეცენზიაში ვერავინ ჩაატყვეს. დაკვირდით სარჩევის ქვესათაურს: „თამაში – პარამუტი“, „კურიკულუმი ნიმუში“, „პროექტის განმარტება“, „თემა – ცოცხალი ტრანსპორტი“, „როგორ უნდა იყოს აღმზრდელი“, „მოკრძალებული რჩევები“, „თბილისის საბავშვო ბაღების მოკლე ისტორია“, „255 კითხვა-პასუხი“.

მკითხველის სახელით მადლობას მოვასენებთ წიგნის რედაქტორს, ფილოლოგიის დოქტორ ირინე გოფოძეს, რეცენზენტებს: პროფესორ ლილი მექვაბიშვილს და პროფესორ ნუზარ აბაკელიას ამ ყოველმხრივ მოქარგული წიგნის გამოცემაში ნელი კეშელაძისთვის დახმარების განცხადებით.

ბორის მიშველაძე, პედაგოგიის დოქტორი

# ილია კეშელაძე მოსაბონარი

„არდავინება მოყვრისა“



ური სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმიო-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

ილია კეშელაძეს პედაგოგიური დებიუტი შედგა ხულოს რაიონში ქიმიო-ბიოლოგიის მასწავლებლად, სადაც 1970 წლამდე იმუშავა.

იმავე წელს საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და იმავე საგნის მასწავლებლად მოღვაწეობას შეუდგა დედაქალაქის 48-ე საშუალო სკოლაში. აქ კი მძლავრად გაშალა ფრთები მისმა პედაგოგიურმა ნიჭმა და უნარმა. მალე გახდა პოპულარული, მონივრულ მასწავლებელი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩინებული აღმზრდელი და

მეგობარი. აქტიურად მონაწილეობდა ილია კეშელაძე შემოქმედებით კონფერენციებში, იმაღლებდა პროფესიულ დონეს, იყო მეტად კოლეგიალური, გულისხმიანი, მეგობარი, ახალგაზრდობის კეთილი მრჩეველი და დამრიგებელი. ასევე არაჩვეულებრივი მეუღლე და მამა.

როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი, მონოდებით პედაგოგი დაინაწიურეს, გადაიყვანეს თბილისის მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში სასწავლო ნაწილის გამგედ. აქაც თავი გამოიჩინა და მისი მონივრული გამოცდილება განზოგადებული იქნა.

ილია კეშელაძეს ღვაწლი სათანადოდ დაფასდა: დაჯილდოებული იყო განათლების წარჩინებული მუშაკის მედლით, ღირსების ორდენით და სხვა.

ილია კეშელაძე სიკეთის, სიყვარულის და პატიოსნების განსახიერება გახლდათ.

ათიოდე დღე დააკლდა, რომ 85 წლის იუბილე გადაეხადა.

ილია კეშელაძეს ნათელი ხსოვნა უკვდავია მისი ოჯახის, აღზრდილების და მეგობრების გულში.

მეგობრების სახელით დემურ კალანდაძე, თბილისის 48-ე საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი

ნომრის რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება № 6 (4510) 8 აპრილი, 2015 წელი გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე ბ ი ა

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatileba@gmail.com

ტელ: (0 32) 2 99 80 00 (0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113



9 771987 911009